თეატრი და ცხოვრება

№ 16

ფოლიოსადი ᲛᲔᲝ ᲬᲚᲘ

რედაქციის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“ს სტამბაში ყოველ ქამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საკიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ს სტამბის კანტორაში—დღით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: **Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили**

№ 16 ᲙᲕᲘᲠᲐ, 17 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 1916 Წ.

17 აპრილი

ერთი სიტყვა — ერთი საქმე.

შარშან გამოთქმული ჩვენი ნატვრა-სურვილი წელს საქმედ იქცა.

აღდგომის მესამე დღეს, 12 აპრ. თბილისში („ახ. კლ.“ დარბაზშ) თავი მოიყარეს საქართველოს კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, შეადგინეს დამფუძნებელი კრება და—

ნავსიც გ^ტყდა:

სხვა და სხვა მისწრაფება-მიმართულების ᲧᲒᲣᲤᲘᲗᲐ ურთიერთ შეᲣᲜᲗᲮᲛᲘᲗ აარჩიეს პირველი გამგეობა.

მდგომარეობა ᲰᲥᲛᲜᲘᲡ შეგნებასო, და ალბად სწორედ აწინდელმა მძიმე მდგომარეობამ ჩვენს მოწინავე-მესვეურთ უკარნახა შეთანხმებულ მოქმედების საჭიროება:

ერთი სიტყვის თქმა—ერთი საქმე. .

კრების დაწყებისას, კავშირის ერთმა დამაარსებელ-მესვეურთაგანმა, დამსახურებულმა მოღვაწემ, მთის ნაბატონარმა გ. ნ. ყაზბეგმა კრებას მიულოცა ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ!

ᲪᲔᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ!—ამ დღიდან ᲩᲐᲘᲧᲐᲠᲐ საძირკველი ქართველთა სულიერ აღდგომას...

ჩვენი სამშობლო მრავალ წელია განმავლობაში შინაურ თუ გარეშე მტერთაგან უწყალოდ დაკაწრული, შენ-ᲩᲔᲛᲝᲑᲘᲗ, პირველობის ᲫᲘᲜᲘᲗ, „ᲩᲔᲛᲘ შენსას ᲡᲯᲝᲑᲡᲐ“ ძახილით, სუსტდებოდა...

ᲥᲣᲪᲛᲐᲪᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ მთელი ხალხის სულიერ-ნივთიერი ძალ-ღონე...

მტერს—გარეშეს უხაროდა, მოყვარეს—შინაურს გული უკვდებოდა...

და, აᲰᲐ, ძღივს ვეღირსენით მთელი ერის გამაერთიანებელ კავშირ-გამგეობას...

ხოლო უკვე მოᲬᲮᲓᲐრი ამბავი რომ მხოლოდ უᲛᲐ სიტყვად არ დარჩეს, თითოეული წევრი კავშირისა, თითოეული მათი მარᲩᲣნებელი და თითოეული ქართველი ყოველ თავის ნაᲑᲘᲯᲡ, საქმიანობას ამ კავშირს უნდა უმორჩილებდეს.

დღეიდან არსებობს ქართველი ერის—მთელი ხალხის მხოლოდ ერთი მაᲒᲐᲠᲘ დᲬᲧᲔᲑᲘᲡᲯᲒᲣᲚᲘ და მისი სიტყვა კანონი უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის, რა მიმართულებისაც უნდა იყოს, რა სარწᲛᲣნოებისაც უნდა აღიარებდეს...

და დღეიდან იᲥᲛᲜᲔᲡ ერთი სიტყვა ერთი საქმე...

ამ სურვილით სალამს უძღვნით ახალ კავშირის გამგეობასა და ფხიზელ სიტყვასთან ერთად ნაყოფიერ საქმიანობასაც უნატრით ჩვენი ხალხის საᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ...

შამილის სამართალი

ახლად დამᲨᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲩᲐᲜᲘ 1840 წელს ისევ აუᲯᲐᲜᲓᲐ რუსეთს. მიზეზი ის იყო, რომ რუსის მთავრობამ მოინდომა ᲩᲐᲩᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ იარაღი აყარა. ფულის მაგივრად ხარᲯᲐᲓ იარაღი უნდა მიეცათ. ᲩᲐᲩᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲑᲐ იარაღს როგორ აიყრიდნენ... ᲩᲐᲩᲐᲜᲘ და იარაღი განუყრელნი არიან.

— როგორ,—დაიძახეს ჩაჩნელებმა,— ქალები ხომ არა ვართ უიარაღო ვიარაროთ? ყველანი დავიხოცებით ერთ დღეს და იარაღს კი არ მივცემთ რუსებს!..

რუსეთი შეუწყნარებელი იყო.

ზარდაცემული ხალხი გარბ-და მთებში. აუტანელი გახდა ჩაჩნელების ცხოვრება. ხალხი ძალიან შეწუხდა. ბევრი ითათბირეს ჩაჩნელებმა თავიანთ აუტანელ მდგომარეობაზე და ბოლოს გარდასწყვიტეს მიემართნათ შამილისთვის თხოვნით, რომ დეეცო ისინი რუსებისაგან, ან არა და მიეცა ნება მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა. აირჩიეს საპატიო წარმომადგენელნი, მაგრამ ძალიან ძნელი საქმე კი იკისრეს წარმომადგენლებმა. როგორ წარსდგომოდნენ ამ ნაირ თხოვნით მრისხანე შამილს? ხომ თავებს გაიყრევინებდა მათ დაღესტნის იმამი!.. აქ სამოხარულო და საიმედო აზრმა გაუარა მათ თავში.

შამილს ჰყვანდა დედა ბახუ მესედი, მოხუცი, ფრიად ლმობიერი, გულკეთილი და სათნოიანი. შამილს ძალიან უყვარდა დედა და დიდათაც სცემდა პატივს. რაც უნდა ეთხოვნა დედას, შამილი ყოველისფერს უსრულებდა. დედის თხოვნით შამილს ბევრისთვის სიკეთილით დასჯა უპატივებია, ბევრისათვის წართმეული მამული დაუბრუნებია. ამისათვისაც თითქმის ყოველ დღე რამდენიმე მთხოვნელი არ გამოილეოდა.

ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა ბახუ მესედის: ფული უყვარდა. ჩაჩნელებმაც ისარგებლეს ამით და ორასი თუმანი აღუთქვეს იმამის დედას, თუ გაარიგებდა მათ საქმეს შვილთან. ეშმაკმა სძლია, შესცდა მოხუცი დედა და გარდასცა შვილს ჩაჩნელების თხოვნა. თავსზარი დაატყდა შამილს დედის სიტყვებზე. შხამიანმა ისარმა გაუარა მას გულში. როგორ? დედა, საყვარელი დედა სთხოვს მას, რომ ნება მისცეს ჩაჩნელებს მიიღონ გიაურ რუსების ქვეშევრდომობა. ეგ ხომ დალატია მუხამედის წინაშე! ეგ ხომ დარღვევაა მისი—შამილის უფლებისა, როგორც დაღესტნის იმამისა!..

შვილმა არაფერი უპასუხა დედას, შეეფინა და თავის ოთახში და ჩაიკეტა. მეორე დღეს გამოვიდა შამილი თავის ოთახიდან და შეევიდა მეჩეთში სალოცავად. ხალხს უბრძანა შეგროვილიყო მეჩეთის გარშემო და ელოცნა, სანამ იგი არ გამოვიდოდა მეჩეთიდან.

გაიარა პირველმა დღემ, მეორემ, მეჩითის კარი არ გაიღო. დადგა მესამე დღე. ხალხი მოიღალა და მოიქანცა მარხვის, ლოცვის და უძილობისაგან.

ჩაჩნის წარმომადგენლები შიშით და კანკალით ელოდებოდნენ იმამის გარდაწყვეტილებას.

ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ როგორ იტანჯებოდა ამ დროს შამილი. რა ცეცხლი და ბალდამი სწვამდა მის გულს. ერთის მხრივ, როგორ უნდა ეგრძნობინებინა ჩაჩნებისთვის მათი სამარცხვინო საქციელი, მეორეს მხრივ, როგორ აეცდინა დედისათვის კუთვნილი სასჯელი... პატიება არას გზით არ შეიძლებოდა. დაესაჯა—ნამეტანი ძნელი და მძიმე იყო მისთვის, როგორც შვილისათვის...

განვლო მესამე დღემაც. მეჩეთის კარი გაიღო და გამოვიდა შამილი. ავიდა თავის სახლის ბანზე და წარუდგა ხალხს გაფითრებული, ჩასისხლიანებულ თვალებით, რამდენიმე წუთის შემდეგ ორმა მოლამ აიყვანა ბანზე შამილის დედა, თეთრ ჩადრში გახვეული.

— დარღოელებო,—დაიწყო შამილმა დასუსტებულის ხმით,—ჩაჩნელებმა ულალატეს მართლმორწმუნეობის მოვალეობას, მთა დავიწყდათ, რომ მისცეს ფიცი ალლაჰსა და მუხამედსა!.. გულში განიზრახეს გიაურებისაკენ გადასვლა, მათი ქვეშევრდომობა და გამოგზავნეს დარღოში დესპანი, რომელმაც პირადად მე კი ვერ გამომიმეღავნა თავის დაწყვლილი განზრახვა და მიჰმართა ჩემ საწყალ დედას, რათა მან გარდმიმცეს და მთხოვოს კიდეც აუსრულო მათ თხ-ვნა... სამი დღე ვილოცე და ვთხოვე ალლაჰს, რომ მირჩიოს როგორ მოვექცე ჩაჩანს: მივცე ნება, რომ მიიღონ გიაურების ქვეშევრდომობა? ალლაჰმა ბრძანა: „ვინც პირველმა გაგიმეღავნა ეგ სამარცხვინო აზრი, ასი მათრახი დაჰკა მას“-ო. პირველი იგი არის უბედური დედა ჩემი და,—

ეროვნული ბიბლიოთეკა
12C

ასრულა იმამმა,—უნდა ასრულდეს წმიდა
ება ალლაჰ-სა...

მრისხანე იმამის უკანასკნელ სიტყვებზე
ოგზარი დაეცა ხალხს. უბედურმა დედამ სა-
ოდავად დაიკივლა. შამილმა ანიშნა მიური-
ებს დედაზე. მიურიდები მივიდნენ შამილის
ედასთან, მოხსნეს ჩადრი და დააწვინეს თა-
ანთ მბრძანებლის დედა. შამილმა აიღო მა-
რახი და დაჰკრა ერთი... ორი... მეხუთეზე
ედას გული წაუვიდა და გონება დაეკარგა.
ელარ შესძლო შვილმა ეს უბედურება; გა-
ადგო მათრახი და დავარდა მუხლებზე დე-
ის წინაშე. ხალხში ქვითინი მოისმა. ბევრ-
ა აღაპყრო ხელები მეჩეთისკენ მუდარით,
ომ ალლაჰს ეპატიებინა დანაშაული მათ სა-
ვარელ, გულკეთილ ბახუ მესედისათვის.

რამდენიმე წუთის შემდეგ შამილმა წა-
ოიწია. სახე გაბრწყინვებული ჰქონდა.

— ჩემის თხოვნით ალლაჰმა ეპატია დე-
ას, სთქვა შამილმა,— მხოლოდ დანარჩენი
ითხმოცდა თხუთმეტი მე უნდა მივიღო. დამ-
არით, რაც შეგიძლიანთ მაგრათ, აღფრთო-
ანებით მიუბრუნდა იმამი მიურიდებს,—და
ცოდეთ ოთხმოცდა თხუთმეტს ერთიც თუ
ააკელით, ჩემის ხელით განგგმირავთ იმ წამ-
ივე. დაწვა შამილი. დაუწყეს მიურიდებმა
ცემა და თვლა.

— მაგრათ, მაგრათ დამკარით! ყვიროდა
შამილი.

ადვილათ აიტანა სასჯელი შამილმა, წა-
ოდგა და გულდამშვიდებით, წყნარის კილო-
ი მიუბრუნდა ხალხს:

— სად არიან ის ბოროტნი, ვისის წყა-
ლობითაც დედა ჩემი ასეთ სამარცხვინო სას-
ელს მიეცა?

შიშის ზარ-დაცემული ჩაჩნების წარმო-
ადგენლები ფეხ-ქვეშ დაუვარდნენ შამილს.
ამილმა თვითონ წამოაყენა ფეხზე ჩაჩნელე-
ი და უთხრა:

— თქვენ დაინახეთ თქვენი თვალით,
რაც აქ მოხდა, ეხლა დაბრუნდით თქვენს
ქვეყანაში და პასუხის მაგიერათ უამბეთ თქვენ
ამოგზავნილებს ყოველისფერი რაც კი აქ
ნახეთ და გიგიგეთ.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა ჩაჩნელებზე,
ომ დაუყოვნებლივ მიემხრნენ დაღესტნის
ბრძანებელს.

ივ. ბუკურაული



ვ. ვ. კოვალევსკი (†—1916)

რუსეთის გამოჩენილი მეცნიერ-სწავლული, მწერალი
რედაქტორი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე,
სახელმწიფო საბჭოს წევრი, გარ. 23 მარტს.

სამარადისო ზღაპარი

ისინი სამნი იყვნენ.

არვინ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი, რისთვის
დადიოდენ ასე, ან სიდან მოდიოდენ...

მრავალი ტანჯვა-წვალება გამოევლოთ მათ
დღე-ღამ გზაში წანწალით. ფეხთ არ ეცვათ
მათ, თავთ არ ეხურათ, ტანსაცმელი მათი
ძონძებათ ქცეულიყო.

და ისხდენ ისინი ერთხელ გზის პირას—ის

ხარი სიკვდილისა, სად ბედნიერი ადამიანი სიხარულით ეწაფება მჩქეფარე ტალღებს სიცოცხლისასო...

კიდევ დიდხანს უსმენდა მოგზაური მათ მოთხრობას შორეულ ქვეყანაზე, სიდანაც მოდიოდენ ისინი, უსმენდა იმ ქვეყანაზედაც, სადაც ახლა მიდიოდენ...

ჭმუნვა და სევდა მოჰგვარა მოხუცს უცხო კაცთა სიტყვამ და ასე უთხრა მათ:

—ტყუილად მიდიხართ, თქვენ, იმ ქვეყნად და ტყუილად ეძიებთ მას.. ვერასოდეს ვერ ნახავთ თქვენ იმ ქვეყანას; ვერ იხილავთ იმ გვარ მხარეს, სადაც არ მეფობდეს კვნესა და ტანჯვა... ვერ იხილავთ ქვეყანას, სადაც იქნება ბედნიერება და სიყვარული... არ არსებობს ეგეთი ქვეყანა ახლა. ხოლო ამბობენ კი, რომ ძველად ყოფილა... იყო, თურმე, ეგეთი ქვეყანა... დედამიწა ერქვა სახელად, მხოლოდ ახლა...

ნუ დაეძებთ იმ ქვეყანას... ვერ იპოვით მას...

—არ შევსდგებით ჩვენ,—მიუგეს მას მგზავრებმა,—ჩვენ ვიცლით... ჩვენ უსათუოთ ვიპოვნით მას... ჩვენ ვეძიებთ!..

—და მეც ვეძიებდი... მეც გადავიარე აი, ის მთები, შორეული ზღვები და მდინარეები... მივდიოდი სულ წინ... ვეძიებდი... მაგრამ... ხედავთ: უკან დავბრუნდი და ისევ ჩემს ქვეყანაში მივდივარ... დავბრუნდი!..

და გველის სისინისავით შეიპრა მათ გულში იქვე გამარჯვებისა... და შესდგენ მოგზაურნი, მაგრამ უცბად ზეზე წამოდგნენ და ასე უთხრეს მოხუცს:

—ჩვენც წავალთ... იქნებ ჩვენ ვნახოთ!..

და გაუდგენ გზას... შორეულ გზას უცხო ქვეყნისაკენ...

გავიდა ხანი.

ისინი მიდიოდენ წინ, სულ წინ, ხოლო ვერსად ვერ პოვეს მათ სანეტარო ქვეყანა იგი.

და შეიმოსა თეთრი ჯადარით მთი თმა და წვერი, და მოიღალა მუხლი მათი, და მიწისკენ დაიხარა წელი მოგზაურთა. ვეღარ შესცქეროდენ ისინი ზეცას ისე ამაყად, როგორც წინად, და წელში მოხრილნი, თითქოს დაკრგულნი რასმეს ეძებენო, მიწას დასცქეროდენ ისინი.

მოიქანცა სხეული მათი... ძიებისგან დაღალა მშფოთავი სული და ძველ ტანჯვას მიეტანა ახალი... გაცრუებულმა იმედებმა კიდევ ერთი ღრმა იარა დაიჩნიეს მათ გულს და—

—პირი იბრუნეს მოგზაურთა, დაუბრუნდენ ამ ქვეყანას, საიდანაც წამოვიდენ ისინი მრავალი წლის წინედ...

ძველ გზით ბრუნდებოდენ ისინი და, მწარე ფიქრებში გართულნი, თანდათან უახლოვდებოდენ თავიანთ მხარეს...

და იმავ გზაზე შეხვდა მათ ჯგუფი ვაჭაკაცთა. ისინი მიდიოდენ სიმღერითა და სიცილით... სწრაფი იყო ფეხი მათი... დიდი იყო სურვილი და ძლიერი იყო ძალა სულისა.

გიგეს მოხუცთ, რომ ახალგაზრდანი მოშორებიან ტანჯულ ქვეყანას, რომ მათ სურთ იხილონ სხვა ქვეყანა, ახალი ქვეყანა, სადაც სუფევს სიყვარული და ბედნიერება.

და მყისვე აუწყეს მოხუცებმა ყმაწვილთ, რომ ამაოა ყოველივე... ტყუილია ძიება და შრომა, რომ ვერაოდეს ვერ იპოვნიან ახალგაზრდა მაძიებელნი სანატრელ ქვეყანას... აცნობეს ყმაწვილთ, რომ ისინიც ეგრე ეძიებდენ იმ ქვეყანას ბედნიერებისა და სიყვარულისას, მაგრამ ახლა, დაღლილნი და დაჭანცულნი, ბრუნდებიან შინ... რომ ვერსად ვერ პოვეს ის ქვეყანა...

მაგრამ დიდი იყო იმედი ვაჭაკაცთა გულში, სწრაფი და ღონიერი იყო ფეხი მათი და გაბედულად სცემდა გული...

და გაუდგენ ისინი გზას... შორსა გზას, შორეულ, სანატრელ ქვეყნისაკენ...

—

განვლო წლებმა... გაიარა მრავალმა საუკუნემ...

იმ გზაზე ბევრჯერ ხვდებიან ერთი მეორეს მიმავალნი—მაძიებელნი სიყვარულის და ბედნიერების ქვეყნის და მომავალნი—უშედეგო ძიებისაგან დაღლილნი...

და მოუთხრობენ ურთიერთს ისინი თავიანთ მწუხარე ამბებს...

ამ წელთა და საუკუნეთა სრბოლაში არ ყოფილა ისეთი წუთი, რომ დაბრუნებულს ეთქვას მაძიებელთათვის—

—გიხაროდენ, შვილნო ტანჯულ მიწისა,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ულ ვიპოვეთ ქვეყანა ბედნიერებისა და სიყ...ურულისა!..

...ი ყოფილა ასეთი ჟამი...

...ვით შეუწყვეტელია თვით ტანჯვა, ვით ...ამარადისოა წუხილი და ცრემლი, ვით შეუ...ერებელია სურვილი და აზრი ადამიანისა,— ...ე შეუწყვეტლივ მიდიან და ეძიებენ ადა...ანები იმ ქვეყანას და ისევ მოდიან დაღლილ...ი და წელში მოხრილნი და—

...—მრავალ წელთა და საუკუნეთა სრბოლაში ...ა ყოფილა წუთი იგი სანეტარო, რომ დაბ...ენებულს ეთქვას მიმავლისთვის—

...—გიხაროდეს, შვილო ტანჯულ მიწისა,—მე ...ოვიპოვე ქვეყანა ბედნიერებისა და სიყვარუ...ლისა!..

...ა ყოფილა ისეთი ჟამი საუკუნეთა განმავ...ლობაში...

...ისინი კი მიდიან, სულ მიდიან, ვით ფრინ...ელთა გუნდი, თბილ ქვეყნებში გადაფრენის ...ეროს...

...ულ მიდიან!..

ნ. მიწიშვილი

ქართველი ექიმები

აბელ ოქროპირის ძე იაშვილი

გადაგვარებულმა სკოლამ, უცხო ნია...ბაგზე აღზრდამ ჩვენს მამულს ბევრი ნიჭიერი ...ვილი და სასარგებლო მუშაკი დაუკარგა.

მრავალია საექიმო უმაღლესი ცოდნით ...ღჭურვილი, რომ თვისი ერის დაწინაურება...ი ნაკლები წილი მიუძღვის. უკეთეს შემთ...ხვევაში, ზოგიერთი მაგანი უცხო ენაზე ...წერს და თვისი ცოდნა მსოფლიო ცოდნის ...ალაროში შეაქვს,—ეს მაშინ, როდესაც ჩვე...ი ხალხი საჭიროებს მეცნიერ-მკვლევართა ...ზის ჩვენებასა და დახმარებას.

სწავლა-განათლებით და საზოგადოებრი...ი ცხოვრებით ჩამორჩენილ ჩვენს სოფელში ...ედი მოვალეობა აწევს კისერზე ყოველ ნას...წავლ კაცს, ინტელიგენტს, თუ იგი ინტელი...გენტის წოდებას უქმად არ ატარებს.

მისი მუშაობა შეიძლება ჩუი იყოს, ...ყვირილობას მოკლებული, მაგრამ მუდამ ...ერმა კვალის გამვლებელი და აწმყოსა და ...მომავლის შორის ხიდის გამდები იქნება...

ერთი ასეთი ჩუმი მუშაკთაგანია ექიმი აბელ ოქროპირისძე იაშვილი, აწ უკვე სამოცდ...

ექიმი
აბელ ოქროპირის ძე იაშვილი

...წელს მიღწეული, რომელმაც პრაქტიკული თუ სამეცნიერო მუშაობით თვალსაჩინო კვალი გაავლო ჩვენს ცხოვრებაში...

ა. ო. იაშვილმა 1874 წ. დაასრულა ქუთაისის გიმნაზია, 1882 წ.—ხარკოვის უნივერსიტეტი, 26 წელიწადი მსახურობდა პროვინციაში—ერევნის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში სოფლისა და მაზრის ექიმად. გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა, ექიმობისა, სოფლად ხელს უწყობდა სათეატრო ხელოვნების აღორძინებასა და ყოველ საზოგადო ადგილობრივ საქმეს: ს. საგარეჯოში გახსნა სამკითხველო, ს. სართიჭალაში მისი მეცადინეობით დაარსდა საფოსტო განყოფილება, დუშეთში დააარსა წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სხ.

გარდა ამისა, როგორც წევრს კავკასიის ექიმთა საზოგადოებისას, რუსულ ენაზე დაწერილი აქვს შვიდი-რვა გამოკვლევა სხვა და სხვა სენის შესახებ.

1) Преобладающія болѣзни въ сурмалинскомъ уѣздѣ Эриванской губерніи.

2) Холерная эпидемія 1892 года въ Эриванскомъ уѣздѣ (труды 1-го съѣзда кавказскихъ врачей, т. II).

3) Вѣроятныя причины слабаго развитія холерной эпидеміи 1892 года въ Кутаисской губерніи.

4) 217 проколовъ живота при брюшной водянкѣ у одной больной.

5) Чѣмъ питается крестьянинъ Закавказскаго края и какая его преобладающая пища.

6) Народная медицина въ Закавказскомъ краѣ: медицинскія средства, народные способы леченія, народные врачи и грузинскіи народный лечебникъ „Карабадини", съ пятью рисунками.

7) Труды Императорскаго кавказскаго ме-

ეროვნული ბიბლიოთეკა

дицинскаго общества по народной медицинѣ за 50 лѣтъ его существованія.

8) Труды И. К. Мед. Общества по судебной медицинѣ за 50 лѣтъ его существованія.

აქედან ყველაზე საყურადღებოა „სახალხო მკურნალობის კუკუსიაში—სამკურნალო სიშუალენანი, სახალხო მკურნალობის წესი, სახალხო ექიმები და ქართული სახალხო სამკურნალო „კარაბადინი“ და სხ. 5 სურათით, 1904 წ. გამოცემული. ამ წიგნის შედგენაზე უმუშავნია თითქმის 18 წ. წიგნში თავმოყრილი და რიგზე დალაგებულია ხალხში გავრცელებული სამკურნალო სიშუალებათა სახელწოდებანი ქართულად, ლათინურად, თათრულად, რუსულად და სხ. აღნუსხულია სამკურნალო ყვავილები, მცენარენი, მიწალნი, ბალახ-ბულახი, ქვები, თესლეული, ხალხური შელოცვანი, ზნე-ჩვეულებანი, დოსტაქრობა, კარაბადინის შინაარსი, ქართულად მისი წარმოშობის დრო და სხ. წიგნი ფრიად საყურადღებო შრომაა და მომავალ მკვლევარს ქართული სამკურნალო მეცნიერებისას დიდს ხამსახურს გაუწევს, მით უმეტეს, რომ, როროგორც თვით ექ. იაშვილი ამბობს, ქართველებს ჯერ თავისი ზეპირი მკურნალობა კარაბადინიდან შემოსული ცნობებით შეესებული. ეს ზეპირი მკურნალობა ზოგი თუ აღწერილია ამ წიგნში, ბევრი აუწერელია და ქართველ სწავლულ ექიმსაც აქა ჰმართებს უნარისა და თაოსნობის გამოჩენა.

ექ. იაშვილმა ამ წიგნით ჩვენ რას უნდა მიეკცეს ყურადღება.

იმედია ახალგაზდა ქართველი ექიმნი უფრო ბეჯითად მოეკიდებიან მშობელი ხალხის, როგორც ხორციელ, ისე სულიერ წყლულთ, —რადგან მათ ხალხში უხდებათ ტრიალი,— და წარმატების გზას შეუყენებენ...

იოსებ არიმათიელი

მ ი ბ ქ რ ი ს...

ფიქრთა ღრუბლები, დიდებისა მაღალთ-მაღალ მთაზე ნაწყობი, ლტოლვილმა სულმა წამოშალა, მიფანტ-მოფანტა.

დიდების მთა აღმობრწყინდა გაშუქებული და სვეტს სარდალი გატაცებული, გული უძგერს, წარტყვევნილი თვალი უელავს.

ლურჯაზე ზის—კლდის ქეჩოზე ვეფხი სარდალი, ხმალ ამოწვდილი.

ლურჯა ჭიხვინებს, მოკლე კისერი ფაფარიანი ამაყს, მოხდენილს აუწევია, ტორებსა სცემს. კლდის მკერდს აკვესებს...

ლურჯაც დიდებას გაუტაცნია...

თოფმა იჭექა. ზარბაზანთ გრგვინვამ მთები აყარა. მირბი-მორბიან...

აყალყებულა ლურჯი ფრთიანი. ჰეი მერანო!—სიტყვას მოელის.

აჰა, გფფრინდა.

მჭუხარე ჯარი გალომებული, ვითა გრიგალი, ბობოქრებითა მტერს შეეკვეთა...

სისხლის ზღვა დადგა.

ციხე-ქალაქებს ცეცხლი ავარდა.

იწვის სამყარო, ზეცაც იწვება...

მიჰქრის სარდალი. უკუქცეულთ მიერეკება, სწვავს და ჰბუგავს რაც კი შეხვდება...

დიდების მთაზე, წარბ-გახსნილი შედგა სარდალი, ვით მთის არწივი და ფერხთ ფენილი. ხელის გულზე გადაშლილი ტრიალი ველი ელვის სისწრაფით გადაირბინა: გადახვეწილი მოპირდაპირე ცის დასავალზეც ვეღარ იხილა.

გადიხარხარა.

სიამოვნებით თვალი მილულა გვირგვინოსანმა და, თითქო თასსა ნექტარით სავსეს დასწაფეზოდა, სული განაბა...

შეთვრა სარდალი და სურვილი თავგანწირულ ჯარისადმი მისალმებისა, გულში შეეპარა...

გრძნობამ მაღალმა მთლად შეიპყრო გვირგვინოსანი და, ვიდრე ქველი პირს იბრუნებდა, მის ყურთ მოესმა თავბრუ დამსხმელი, ქებათა-ქების შემსხმელი ხმები შემორტყმულ ჯარის...

როგორ უმუხთლა ბედმა ტიალმა...

დაბურულ მთა-ბარს შავი ძაძა წამოესხა, ცრემლი სდიოდა, გულდაკოდილი სარდალს კითხავდა:

— „მკვდრების მეფევ, დიდო სარდალო, ჯარი რა უყავ?!

— დიდების ქედზე მდგომო სარდალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილები

თავისუფლება

მიყვარს მინდორი თვალ-უწვდენელი,
ვითარც გაშლილი ზღვის ზედაპირი;
სად არც მთა არი, არცა ნაპრალი,
წინ შესახვედრი ზღუდე—ქვით-კირი.
ოჰ, რა კარგია რა თავისუფლად
მიმოჰქრის ქარი, სრიალებს სიო;
ასეთ ასპარეზს სულის საუფლოს
როდის ვეღირსო, სად მოვეწიო,
რომ ვითარც ქარმა შეუჩერებლად
იქროლოს გრძნობამ, იქროლოს ზრახვამ,
გავყვე ქვეყნის პირს, ვამცნო სურვილი,
სანამ ჩამქოლოს მიწამა და ქვამ.

მ. ველისციხელი

პოლიკულ ზაზაზე

(გაგრძელება.)
იხ. „თ. და ც.“ № 15

III

გოგო და ბიჭი.

გოგო. ბიკო თედო! არ გინდა ახლა შენც შეგიშვან და ჩამოუარო ლეკური?

ბიჭი. აბა იმე, რატო არ მინდა რა? მე კი ფეხები არა მაქვს თუ? ისე ავადუქო იქაურობა ყველანი კარში გამოვყარო! მერე შენთან ისე ჩამოუარო, როგორც ბზრიალა? მაშ? რას მიყურებ?

გოგო. აი გაჰქრი შენ! ფეხები ძლივს დაგაქვს, დაბაჯბაჯებ და ბზრიალასავით კი გინდა ჩამოუარო.

ბიჭი. რათა, შვილოსა? დავბაჯბაჯებ? (ფლიტინებს)

გოგო. დაიკარგე, შე წუწკო! აგერ ვიღაცები მოდიან! (ორივენი გაჩუმდენ სიჩქარით. შაქრო და მარიკა ძირს ჩამოვდენ ბაღში)

IV

შაქრო და მარიკა

შაქრო. ნუ ცხარობთ, კნიაზავ, დამეთანხმეთ, რომ თქვენ—ქალები მარტო მხედველობის შთაბეჭდილებითა ცხოვრობთ. ოქრო ჩინებულია, არ აგიბირდებთ მაგაზე, მაგრამ სიიმისო გასაშტერებელი ღირსებაც არა აქვს, რომ აგრე ადიდებთ. ეგ არის ჩვეულებრივი კეთილი გულის ყმაწვილი, უყვარს ევროპიულად ცეკვა-თამაში. არ გამოდგება ეგ ქართველ ხალხში სადაც სისხლითა და ხორცით გაჟღენთილან, საცა ერთის სულის შებერვით გარდიქცევა. უყურეთ როგორ მინაზებულ-მისუსტებულა. ამ ხეობის ღონიერი ჰაერი გაეკრობს მაგას. ეგ უნდა ჩასვათ მინის ყუთში და ისე ატაროთ. ჩვენი ქართველი, უცხო მხარეში ნამყოფი, უკან დაბრუნებული, ძნელად თუ გამოადგება სამშობლოს.

მარ. ყველას აზრი ერთგვარი როდია, კნიაზო. თქვენ აგრე გგონიათ, მაგრამ ჩემის აზრით კი თავადი ოქრო ყველა ქართველისაგან მეტად პატივსაცემი ზრდილობისა, პატიოსნებისა და განათლების გამო. ეს ჩამოთვლილი ღირსებანი კი დიდი ღვთის წყალობაა კაცობრიობისათვის და მეტადრე ჩვენს ქვეყანაში, სადაც ანთებული სანთლით უნდა ეძიოთ ამ გვარნი!

შაქ. დიაღ, მაგისი ბადალი აღარ არის... ოღონდაც. უნივერსიტეტი დაუმთავრებია, თუთიყუშსავით თავი მოულამაზებია, იმეორებს გაგონილ ამონაკითხს, ისე, რომ ვინც ამ გარემოებას მოკლებულია, ადამიანად არ ჩაითვლება?

მარ. მაშ გგონია განათლება არარაობაა?

შაქ. მერე თქვენ გგონათ, რომ სწავლული ყოველთვის უმანკოა?

მარ. რასაკვირველია, ყველა არა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენება და სიყვარული

უფრ. ფეოშ.-ბეითაგი
მინა ნიკ. როინიშვილი
ბრძოლის ველზე დასნეულებული, გარდაიც. ქ. მოსკოვის „პოკროვსკი მონასტრის“ ლაზარეთში 2 მარტს 1916 წ. ჩამოასვენეს დ. ყვირილაში.

შენ ბუნებამ ყოველ მხრივი შეგამკო და შემოგყელა, და მეც რომ არ მოგეხიბლე—მეშინოდა, ჩემო ყველა.

მიტაცებდი გიშრის თმებით, გედურ ყელზე ჩამოწნულით, მიტაცებდი... და თანვე კი ვიწვებოდი სინანულით...

მაგრამ როცა გამოგკითხე, თუ რად გინდა სილამაზე, ან თუ კიდევ გაგაჩნია საზრუნავი უფრო მაზე, —

მაშინ ველარ მოვითმინე მოყიალემ მარტო, ობლად და მოვმართე ჩანგი ჩემი შენი სულის შესამკობლად!

ქუთაისი.

სიმ. წეველი

რამ ნასწავლს უფრო მეტი ღონე აქვს ნაკლულევანება შეიმციროს, არსება გაისპეტაკოს. ოქრო კი რავდენადაც ნასწავლია, იმდენად ბუნებით მდიდარი, უმანკოა. (მუსიკის ხმა შესწყდება)

V

იგინიგე და თ. **პალიკო დიდებაშვილი.**

პალიკო. (შემოდის) შაქრო! შენ გეძებენ! რად გაანებე თავი ქალებს?

შაქ. ახლავე წავალ. თქვენ, კნიაზნა, წამობრძანდებით?

მარ. მე პალიკოსთან ერთად გიახლებით!

შაქ. მაშ მე მივდივარ! (კაბის საჩქარად)

მარ. პალიკო, რად მოგიწყენია?

პალ. მომიწყენია? განა მემჩნევა რამე?

მარ. გემჩნევა და აგრე? საჩვენოში ადარ ხარ. ღმერთმა აცოცხლოს ის, ჩემო ძმაო, რომელიც გამხდარა შენი ფიქრების საგნად. აგისრულდეს ყოველივე ნატვრა-სურვილი!

პალ. ღმერთმა გისმინოს, მარიკა, აცოცხლოს! აცოცხლოს, მისცეს სიკეთე, ყოველივე გამარჯვება, თუნდაც რომ...

მარ. თუნდაც რომ რა?

პალ. თუნდ ჩემი წინაალმდეგ, საზარალოც იყვეს ის გამარჯვება.

მარ. ახლა ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინე, პალიკო, შენ ხარ ჩემი ძვირფასი ძმა, ისიც გულითადი მეგობარი... ორივესთვის ბედნიერება მსურს და კი ვერ მიშველია.

პალ ნუ სწუხარ, დაო. კაცს რაც უწერია არ ასცდება. ალბად ღირსი არა ვყოფილვარ მისი სიყვარულისა, ნაძალადევი კი არა იქნება რა!

მარ. არა, პალიკო! მაგას ნუ იტყვი, ხომ გაგიგონია: ცდა ბედის მონახევრეაო?

პალ. მერე არა ვცდილობ თუ?

მარ. ცდილობ და შენ ცდას ნაყოფი უჩანს?

პალ. როგორი?

მარ სრულიად შეიცვალე... უფრო თავაზიანი გახდი, მშრომელი...

პალ. ეგ აზრი ვისია? მარტო შენი?

მარ. არა ყველასი.

პალ. მაინც?

მარ. ქეთინოსიც!

პალ. (სიხარულით) რას ლაპარაკობ?

მარ. პატიოსნებას გეფიცები. რა, აფასებ? ახლი კი ერთი წავალ, კიდევ დავხედავ ხალხს. (კარბის)

პალ. (გაშტერებული დარჩება შუა სცენაზე. სიგრცეს მისჩერებია ნადგდაინად. შემდეგ უცბად გაუნათდება სახე და შესძახებს) ოხ, ქვეყნის სიმდიდრევ!

ფარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ხარ, სადა, მეგობარო!..

ღამე არის, სდუმს ყოველი, ტანჯვის ველი აღარ გმნავს,
მიწა წყვდიადს დაუფარავს, სთვლემა მიდამო, სოფელს სძინავს...
ვერხვს ფოთლები შეყინვია... არ ირხევა არსით ქარი,
და სიჩუმეს, მკვდრულ სიჩუმეს შეუზარავს მთა და ბარი...
სად ხარ, სადა, მეგობარო, ხმა გამეცი ბედით დაგულს,
მე ბნელოში ველარ ვსცხრები, მსურს ვეკვეთო მტარვალს წყეულს,
და მივდივარ, წინ მივიწევ, აღარ ტყდება ტანჯვით გული,
მსურს ბოლოშდის მივიყვანო საქმე უკვე დაწყებული...
და მომყევი, ნუ შეშინდები, ხმა მომეცი გამამხნევე,
თუ არა და, როგორც მონას, გულში ლახვარს ჩაგცემ მევე...
ძლევის დროშა, ხსნის ემბლემა, მინდა ისევ ფრიალებდეს,
რომ ცამ რისხვით დაიტექოს, ელვამ გაჭკრას, გრიალებდეს...
დამე არის, სდუმს ყოველი, ქარი არ ქრის, ზღვა არ გრგვინავს,
მიწა წყვდიადს დაუფარავს, ჩაგრულთ უბანს სძინავს... სძინავს...
სად ხარ, სადა, მეგობარო! ჩამოვრეკოთ ბრძოლის ზარი,
და წამების გოლგოთაზე ავიტანოთ ზურგით ჯვარი!..

ბ. პელაშვილი

ჯარის კაპიტანი
მ. ი. პაატაშვილი
ხაშმელი გლეხი, ოსმალეთის სახღვარზე ბრძოლაში სამჯერ დაჭრილი, საავადმყოფოშია.

ს უ რ ა თ ი მ ე ო ო რ ე

(იგივე დეკორაცია. დილაა.)

I

კნ. მაკინე და კნ. გაიანე.

მაკინე. (ჩამოვა პიანინოზე და ნამძინარ თვალებს ისრესავს. დიდის ძვირფასი ხალათი აცვია).

გაიანე. (შემოდის ბალდიანს).

მაკ. (ჩამოვა ძირს ბალში)

გაიანე. (მიდგა და დასს შუბლზე კოცტებს) ოჰ, მაკო! ადექი კიდეც? როგორია ხარ?

მაკ. ძალიან კარგი. (ამთქნარებს) რომელი საათია?

გაიანე. მალე თერთმეტი შესრულდება.

მაკინე. განო! (ბატარა ბაუზა) მოდი აქ, ამ ჩრდილში დავსხდეთ! (ორივენი სტენის ხალხდ დასხდებიან მაკიდასთან)

გაიანე. რა რიგად მიხარიან, მაკო, რომ გიყურებ. წარმოიდგინე, **მარტო** ოთხი დღეა, რაც აქა ხარ, მაინც შესაჩნევად მოკეთდი. ჩინებულად მოქმედობს შენზე ჩვენი სოფლის ჰაერი.

მაკ. ოღონდაც, განო, ეს ერთად ერთი ადგილია, სადაც თავისუფლად, უშიშრად ვისვენებ. რაც ოქრო დაბრუნდა გერმანიიდან, არ დაიჯერებ, დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს! შუდამ მეშინიან, არსად არ გაამაბან, ან არავის გადაეწყდეს და თავის ძმა ტიტიკოსავით, არ დაიღუპოს. აქ კი რაც უნდა ქნას, მაინც არ მეფიქრება, რადგან ყველა თავისიანია... მეორეც ესა, თავისიანებიც რომ არ იყვნენ, იმისთანა არავინ არის, რომ ჩვენთვის საშიში აღმოჩნდეს.

გაიანე. მართალია, მაკო, ვითომ ოქროს თამარის შერთვა უნდოდა?

მაკ. წარმოიდგინე, მართალია. მთელ ქალაქს ახალ ამბად ეგვენი ჰყავდათ, თუმცა კი თვითონ მეფიცებოდა, ტყუილად მიგონებენო. ოხ, განო, უნდა ნახო, რა თავაწყვეტილი, თამამი და წინ დაუხედავი გომბოია თამრო. მაღლობა ღმერთსა, კიდევ მშვიდათ გადავურჩით. აქაო და მარილიანი სახე მაქვსო, სულ თავზე ახტებოდა. ეგეც ადამიანია, კაცია, იმ ელდაზე არ გაეხდი ავადა! აქ რომ არ წამოვსულიყავ, ცუდი საქმე მომივიდოდა, რადგან ვუყვარვარ ოქროს! გაიგო თუ არა ჩემი ავადმყოფობა, მაშინვე გამომიტაცა აქეთკენ. მაინც მეფიქრება, რადგან ამ ორი კვირის შემდეგ აპირობს წასვლას თავის სოფლისკენ და, ვაი, თუ კიდევ მოაგონდეს ის წუწკი!

გაიანე. ნუ გაუშვებთ; განა ჩვენის თხოვნით არ დარჩება?

მაკ. საქმეები ჰქონია, განო, დღე თუ ღამ სულ სოფელზე, მის კეთილდღეობაზე ოცნებობს, მაგრამ თუ მიმზიდველი რამ ნახა აქ, მაშინ იქნება დარჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების მოკლე ისტორია

თებაიდისა და ხაისის პერიოდის ხელოვნება.

ამ პერიოდის კანმაგდობაშიაც ძეგლურ ხელოვნებას არ დუკარგავს თავისი სიდიადე და ბუმბერაზობა. თებაისა, ამიდოსის, ტიუტის და ბენი-ჰასანის ნეკროპოლისები ამის საუცხოო მაგალითს იძლევიან, მაგრამ ჩვენი უმთავრესი ყურადღება შეინიან დად ტაძრებს უნდა მიქცეს. ეს ტაძრები სიზოჯდოთ ამ წესით იყვნენ აგებულნი. ორი ვერსის მანძილზე ირკვევა ხეიენარი იყო შემოფდებული და მას კიდეე არშიად სფინქსები ჰქონდა ჩამორიგებული. ამ სფინქსის და სფინქსთა რიგს ტაძრის წმინდა ეზოში შეჰყვიდით. ეზოს შესავალს (პიდონი) მონუმენტალური შესახვლაობა ჰქონდა. მისი კარების ორივე მხარეზე პირამიდალური კედლები იყო ადმართული და მათ წინ დადგმული იყო ანძები დროშებისთვის, ობელისკები და უზარმაზარი სტატუები. მთელ ეზოს სქელი, შეშველებული კედლები ჰქონდა შემოფლებული და ზედ აქაიქ პაწია ტბა იყო ჩასხმული. ამ ტბებზე ზოგიერთ დღესასწაულებში სუცხოო ნავებით დასცურავდნენ ღმერთთა ქანდაკებანი. ეზოს კარების შემდეგ კვლავ ეხალი პიდონი გზიდებოდა. ეს იყო ტაძრის შესავალი. ეზოს სიდრმეში, რომელიც წინა ეზო ერქვა, შეშველებელი დარბაზი იყო აგებული, გრძელი დარბაზი მსხვერპლთ შესაწირავი ანუ გამოცხადებისა, როგორც ეგვიპტელ ხელოვნებაში ასეთ ადგილებში ეწოდებოდა. ეს ადგილი ეკუთვნოდა ფარაონს, ანუ

ტურ სიტუაციაში მოხსენებული. ამ შენობის ჭერქვაში მრავალზე უმრავლესი სვეტი იყო შედგენილი და ამიტომაც ასეთ დარბაზს სიზოგადოდ ეწოდა პიპო სტილი. ლეგის მსახურების დროს აქ იმყოფებოდა ხალხი და ეფეთ და უმოავრესი ქურეშეები კი შედიოდენ ამ წმიდათა-წმიდა ადგილს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მუსიკა

(სიმღერა გალობა)

ახლა თვალი გავაყოლეთ სეკულარულიო კადობას: ანა კაისარჯანინი, კანკეტ შეიარეთ ჩვენს ეკლესიებში, თუ ქართულ კადობას მოიისმენთ?! ალბათ, და თუ სადმე ალბა—კადამხანჯარეულ-კადაკვარეულია. ამ კადაკვარეულ კადობას ხელს უწყობენ ზოგიერთი ჩვენი სამღვდელო პირნი, რომელიც პირდაპირ მოგადენი ალიან ადადგინონ ჩვენი ძველი და მეტად ტკბილი სეკულარიო კადობა...

ჩვენს დასა-სოფლებში ხომ სულ მიეიწეუბულ-მიძინებულია. მართალია, ბევრანნ ამ საქმის გულშემატკივარნი რამელნიმე სამღვდელო პირნი, მაგრამ მათ რა უნდა კაკაწონ, თუ სხვებიც არ დაუჯერენ მხარს, რომ ეს ეკეთოდა საქმე სიერთო ძალ ღონით მოაკვანონ.

ბოდიო და ამის შემდეგ დაემდურეთ ბალხს, რომ „ეკლეხიაში არ დაიარებიო“.

ბევრ ქართველს, დიდს თუ პატარას, ენატრება ქართული წირვა-ლოცვა თავის ტკბილი კადობით. მიერთდაც, სადა ალბა ჩვენი ქართული დარბაისლური სეკულარიო კადობა?!. 15 წელიწადზე მეტი იქნება, იგი ბაქრა და ალბარეთ ფიქრობს იმის ადგნენებს. სრულიადაც მოიხობა, თუ აქვანვე არა ვიდოსეთ რამ. ჩემის აზრით, ერთი კაცი, კერძო პირი ამ რთულ საქმეს ვერ აიისრებს და თუ კამოანდა ვინმე, ჩვენს სამღვდელოებას და საზოგადოებას ჭმირთეთ, დიდი მზრუნველობა და პატრონობა კიუნიონ ძველ სეკულარიო კადობის მოსაქმე მუშაკო.

კეკკადნიერდები და ვიტეეი, რომ ჩვენი მართლაც ნიჭიერი და მხიდოდ უცხო ტომის მუსიკაში დახელოვნებულნი ახლანდელნი კომპოზიტორ-მუსიკოსნი მარტო უმადლეს მუსიკალური განათლებით და თეორიებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს ამ საქმეში, ალამედ საჭირო დიდი ეურადღება მიაქციონ ეროვნულ ფარგლებში ბრაქტიკულად მოდგაწეობას.

მართალია ზოგიერთები შრომობენ, ფეფეუნებენ, ხოდო იგი შრომა, ფეესეული ნაყოფიერია და ჩვენი სიმღერა-კადობის აუგვაებას საამსახურს ეწევა თუ არა, ამაზე კიჩუმებულნი ვართ, ხმის არ ვიღებთ; არ კვინდა სამართლიანის კრიტიკით, სიფრთხილით და დაკვირვებით განვიხილოთ, დავაფასოთ ის შრომა, მუშაკს ნაკლულოვანებაზე მიეუთითოთ, კამოვამეფდანოთ მის ნაწარმოების, ნამაქმედარის ავი და კარგი. ეგეთმძიმეა ბირისპირ და კუდასხდიდად კავეზაიაროთ ამ დარგის სასარგებლო აზრ შეხედულებანი და სხვა!.. ამის ნაცვლად ჩვენი მუსიკოს-კომპოზიტორნი, ძველი მეცოდნე პირნი, ფოტბარნი ან მომეფრად-მკადობელნი შერის თავადით უტქეარან და არც კი ეკარებიან ერთი ერთმანეთს, ხშირად დაბინეის კიდოთიც იხსენებენ ხოდმე ერთმანეთს. თუ კამოერია ვინმე და ნაყოფიერად დაიწეო მუშობა რომელიმე ახლანდელ მუსიკოს-კომპოზიტორთაგანმა, ნახეთ ახლა, რა ეოფას დაეწეგენ ხოდმე მათ ძველი სიმღერა-კადობის მეოდნე პირნი! ხშირად კამიკონია უკანასკნელებისაგან წეუწეენი, რაც ახლანდელნის სიმუსიკო ნაწარმოებთა შესახებ შეგეკითხებიავარ;

—„ეჰ, ჩვენ როგორ უნდა ამოვიდოთ ხმა კანათდებულ მუსიკოსების წინასდმდეგ; მაკეთ უმადესი მუსიკალური ცოდნა აქვთ და როგორ უნდა შეეხარდეთო?!.“ კანა ამ ეგარ სიტეეებით, ასეთი გულტეივი მოპერობით ხელოვნების საქმეს ეშვდება რაზე?.. რასაკვირველია არა!..

ეგენა ამ საქმეში ჩანდიდეი პირი მოვალეა ხმა-მაღალ, კუდასხდიდად წარმოსთქვაც თავისი აზრი; ზურგო უკან დაბარაკი, ერთიერთმანეთისადმი შერის კაეეეა და დაცინეა კი ამ ხელოვნების დარგს არ კანაკეთარებს. ახლანდელ მუსიკოსებსა და ფოტბარებსაც ჭმირთეთ მეტი ეეფარადებეა მიაქცეთ ძველ და კამოცდილ პირებს, რომელთაც ბევრი რამ სასარგებლო იცეან და მათკენ შეიძლება ისწავლონ რამ..

(გაგრძელება შემდეგ)

მ. კავსაძე

სიმღერა (ხალხურ კილოზე)

ვხედავთ, ვხედავთ, ტარტაროზო,
რომ ლამაზად ილიმები:
პირად გვკოცნი ალერსითა
და გულში კი იგინები!

—

რად არ ილი, ბედის წერას
რომ ვერავინ გაექცევა
და შარბათი, ტკბილი საზრდო,
უცაბედად დაექცევა?!.

იგო ტეტუნაშვილი

127

ლეო სილ.-ძე ბარამიძის სსოვნას

კიდევ ერთი პატიოსანი მუშაკი მოსწყდა მშრომელთა ბანაკს. 3 მარტს, დ. დანწხუთში გარდაიცვალა ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, 28 წლის ახალგაზრდა,—ლეო ბარამიძე.

ლეო პატარაობიდანვე ობლობაში აღზრდილა: 4—5 წლისას მოუკვდა დედა, ხოლო ამაკვე დრის მამა მისი კაცის მკვლელობისათვის კატორღაში გაგზავნეს... ბებიის სანაბარა დარჩენილი ლეო. ბიჭვენ სანად სწავლობდა დ. დანწხუთში, აქედან გადავიდა ქ. ფოთის სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც მიიღო ფარმაცევტობის მოწმობა. ამ დროიდან იგი დამოუკიდებლად დაეწყო თვითგანათლებას და განსაკუთრებით მარქსისტულ მიმართულების დიტერატურას კითხულობდა. სკოლა ცოდნით აღჭურვილი, მოძრაობის დროს მუშაობდა სოფლად,—გურიასა და ქართლში, რისთვისაც 1904—5 წ.წ. მეტესის ციხეშიც იჯდა. 1907—8 წ.წ. თანამშრომლობდა მუშათა გაზეთებში („ეწყარო", „ბაზრი", „ხიმელი" და სხ.) „Rigoriste"-ს და სხვა ფსევდონიმებით. ბოლოს, რაკი თბილისში დევნა დაუწყეს, როგორც „პარაკეთილ სიიმელიოს", 1909 წ. კაცასახლდა ქ. ჩიტას და იქაურ „ძველ ადამიანში" მსახურობდა ფარმაცევტად 914 წ. ძალზე დასვენებულს (ნაწილეგების ავადმ.) ედიროს სამშობლოში დაბრუნება, აკვანსტოში დ. ჭიათურის მრეწ. სამ-ჭოს საავადმყოფოში მეტად სერიოზული ავადრა-ცია გაუკეთეს, რაც განაკვირვებულად გადიტანა, მაგრამ ბუტანულ შრომით ძალზე მოქანცულ დაავადმყოფებულს მაინც სამშობლოდ შეუწყდა პატიოსანი გულის ცემა...

დაუგალეწარომ ეოფის ხსოვნა შენი, სამშობლ კეთილ-ობიერების უნაკარო მუშაკო, ამბ. დეო.

საგელი

ცხოვრება
ამ
ეს
ბ
ბ
ბ

„მხოლოდ შენ ეროს“, „მერცხალოს“ და სხ., რითაც აღტაცებაში მოჰყავს დამსწრე-მსმენელნი. ადგილობრივ ვაზეთ „Сѣв. Кав. Кр.“-ში ქებაც შეახეს. საზოგადოთ, ბ-ნი ალ. ოგანეზაშვილი ცდილობს გაავრცელოს და აქაურებს გააცნოს ჩვენებური მუსიკა რასაც დიდის გატაცებით ისმენენ. მ—ე

ძ. არმავირში კვირას, 20/III, „ახალ თეატრი“-ს დარბაზში, სტენის მოყვარეთა წრეს ადგილობრივი კეთილშობილების ქ. შ. წ. კ. ბ. სსზ. სასარგებლოდ (აქედან 25% უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა სასარგებლოდ) წარმოადგინა ჯაზბეკის 3 მოქ. დრამა „ეანდი არსენა“ და ა. ტაკარდის 1 მოქ. კომ. „ჯეკუსის მეზობლ“.

არმავირში ამ მოკლე ხნის კანმავლობაში შესანიშ ქართული წარმოდგენანი. სტენის მოყვარენი თანდათან მეტს უნარს იჩენენ და სახოგადოებასაც ეახლდენენ. სახოგადოებას სწურთნა ქართული წარმოდგენები და სტენის მოყვარეებს ხელს უმართავს, რომ სისტემატიურად იდგმებოდეს მეცხენი. ეგენი უსახდგრო სიხარულით ეგებებნ ამ სიმშვიერ სანქოს. ადასტურებენ, რომ, კარგა ბიდეოების კეთილგანა, კიდევ სწორანეულ სხვა და სხვა ნიგოს, მაგ. დიმ. კაშეურმა სექტის შესწორ (წარმოდგენებისთვის საკმარიოების დროს მოსახმარად) ერთი კარგი ქუდი დარეული 30 მან., ია. კაშეურმა—თორმეტი ქუდი (ნაბდისა), მეტრე ნაგვანდაშვილმა—ტანისამოსი, ზაგიერთებმა ფეული და სხ. და სხ., ადასტურებენ ისიც, რომ ადგილობრივ სახოგადოების კარგა კარეშე ბაბა-ქალაქებიდანაც მოდიან საგანგებოდ წარმოდგენაზე დასასწრებლად მაგ.: ქ. მეიოზიდან, სად. ფაბინსკიდან, კეკეგიდან, ბიაგინსკიდან, ბეფორეზენსკიდან და სხ.

როდების შესრულების მხრივ, კარგები იყვნენ ქ.-ქ. ქეფეპტარიანი (სიდონია), რომელიც პირველად გამოვიდა სტენაზე და, იმედია, ადვილ შემდეგ თვის ეეარადებას არ მოაკლდის ნორმ წრეს. მ. ლომიძის ასული (ნინო), რომელმაც თამამად შესრულა თავისი როდი. ოდონდ ტანისამოსი შეეფერებელი ჭქონდა. ეს ადამიანიც პირველად გამოდის სტენაზე. სეფეროვი იყო ბ ბ მ. შუკანული (თავ. გარსენანი), გ. გორელი (იორამ), ეკეთესი იქნებოდა, თავადამ ბოლომდე ერთი კიდო დაეტვა; ხან ახადგანდის და ხან მოხეტეს კიდოთი არ ელაპარაკნენ. მოგზაურ დენიდი იყო 2—3 მოქმედებაში. ნ. რიონელმა (არსენა) ტოგნდად დაკვიხატა ნაკეთრი როდი: მისმა კრძობიერმა თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი, რასთვისაც მრავალჯერ „ბრავო“ და „გაშეს“ ძახიდით დაჯილდოდა ხალხმა, ი. ბუხელის (ზაქრო) დიდი დაპარაკი აუფერულებდა, დ. მამალაძემ (პეტრე) კარგად შეასრულა თავისი როდი, ხოდო ზოგიერთი სიტეეეები კიდაარმახინჯა, რ. არხოტელმა (სიბაკი) კამოიჩინა ასეთო ნიეი და თითქმის უნაკლულოდ შეასრულა თავისი როდი (სამეწყაროდ ასეთულ ამოდენა კი თავის დროზე ვერ მოახერხა). ბ-ნ ბუხელმა ბეერი ანინა დამსწრე ასოზგადოება, არეშეზდარ ბ. ნაგვანდაშვილს (თელო), ეკრეთვე გვარიანი იყვნენ კიდევ ბრადებში კ. ზეგლიდელი, გ. კეფეგანაშვილი და მ. ბერძნიშვილი. „ჯეკუსის მეზობლ“ მშვენიერად შეასრულეს რამაც ბეერი ანინა დამსწრე ასოზგადოება. ხალხი ბდომად დაეკმაყოფილა,—იყვნენ რუსეთიც.

შემოსავალი რიგიანი იყო. სასურველია, სისტემატიურად ამართულიდეს წარმოდგენები.

მედგარი

დ. ბაშურში დრ. წრის გამგეობამ 26/III „საკრებულო დარბაზში“ დასდგა დ. ერისთავის ისტ. დრ. 5 მოქ. 7 სურ.: „სამმბლო“. პიესას მოუმზადებლობა ეტყობოდა. სუტი იყო ქ-ნი ს. ზონელი (ქეთევანი). მართალია იგი ნიჭიერი სეენის მოყვარეა, მაგრამ როლი ვერ დაეძლიენა. ბ-ნი მ. ლაზარეეეეც მეტად უძლური გამოდგა (ლეეანი). გვარიანი სვიმონი იყო ბ-ნი ალ. კორძაია, მხოლოდ როლის უცოდინარობა ეტყობოდა. არა უშავდარა ბ-ნ ქუთათელაძეს (დადიანი) და ბ-ნ გატირეელს („შეჰ-აბაზი). უკეთესი იქნებოდა ქ-ნი ქ. კალაძე (ფაიზოში), ლაპარაკის დროს თავისი ავადმყოფობა რომ არ დავიწყებოდა, გვარიანი იყო ბ-ნი ნ. სიხარულიძე (ისრაფილ-ხან). დანარჩენებს მოეზადებლობა ეტყობოდა. წარმოდგენა უფერული გამოდგა, აუარებელ საზოგადოებაზეც მკრთალი შთაბეჭდილება დასტოვა. გათავდა ღამის 1 საათზე.

კაკალი

ახალ კლუბში 11 აპრ. მ. კავსაძის ლოტბარობით გაიმართა მუშა-მომლერალთა კონცერტი. გუნდი უკვე გავარჯიშებულია და ქართულ ხალხურ სიმღერებსაც მოხდენით ასრულებს. კონცერტს საზოგადოება საშეალოდ დაესწრო.

სახალხო სახლში სახალხო წარმ. მმართ. წრემ სამშაბათს, 12 აპრ. წარმოადგინა „მუზმეშეული“ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიმართლე“. სცენის მოყვარეებმა ორივე პიესა, განსაკუთრებით ვოდევილი, ცოცხლად ჩაატარეს. მალი ბლომად დაესწრო.

წვრილი ამბები

ქართ. კულტ. საზოგად. კავშირის კრება შესდგა „ახ. კლ.“ დარბაზში სამშაბათს, 12 აპრ. კრებამ აირჩია გამგეობა: გენ. გ. ნ. ყაზბეგი, გ. მ. ლასხიშვილი, ექ. თაყაიშვილი, პარ. ალ. გოთუა, გრ. რცხილაძე, ნ. რამიშვილი, გ. ცინცაძე. კანდიდატებად: შ. მესხიშვილი, ი. ვართაგავა და ა. ლომთათიძე.

ქართველ ხელოვანთა საზოგადო კრება შესდგა 11 აპრ. სამეურნეო ბანკის დარბაზში. გამგეობად ამოირჩიეს: გ. დ. ჟურული, დ. შევარდნაძე, კნ. ბეგთაბეგაშვილისა, გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, ი. გოგოლაშვილი, მ. თოიძე, ალ. მრეველიშვილი და პ. მამრაძე, მათ კანდიდატებად: ლ. გუდიაშვილი, შ. შარაშიძე, ს. კლდიაშვილი და ა. ციმაკურიძე. სარევიზიო კომისიაში: ი. გედევანიშვილი, ვ. სიდამონ-ერისთავი და ს. დადიანი. კულტურულ კავშირში: დ. შევარდნაძე, ი. ნიკოლაძე და ი. გოგოლაშვილი.

ი. ივანიძე ავლაბრის ფრეშ რეკისორად მიიწვია.

ახალგაზდა მგოსანი კ. ჭიჭინაძე, სამხ. სამს. გაწვეული, ავადმყოფობის გამო თბ. სამხ. ჰოსპიტალში წევს.

ჩვენმა თანამშრომელმა, დორპატის უნივ. ისტ.-ფილ. ფაკულტეტის სტუდ. ვახ. კოტეტიშვილმა ფაკულტეტს წარუდგინა სადიპლომო თხზულება „დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის მეთექვსმეტე საუკუნიდან შეერთებამდე“. ამავე უნივერ. სტ. თ. ბეგიაშვილმა—„1783 წ. ქართულ-რუსული ტრაქტატი“. ორივე თხზულება ფაკულტეტმა მიიწონა.

ეგ. ნინოშვილის დილის გამართვას აპირებენ სახალხო სახლში.

ბაქოს დრამ. წრემ დაასრულა 1915-1916 ზამთრის სეზონი. ი. ზარდალიშვილის რეჟისორობით ბაქოში წრემ გამართა 14 წარმოდგენა (სულ 13 დიდი პიესა და 8 ვოდევ.), ბალახანაში—3 წარმ. თითოეულ წარმოდგენაზე შემოსავალი ორთა შუა რიცხვით იყო 280 მან. ხალხი მუდამ გულმხურვალედ ეხსწრებოდა. ამ სეზონმა გვიჩვენა, რომ ადგილობრივი სათეატრო დარბაზი ბაქოს თეატრში მოსაიარულე ხალხგადოებისთვის საკმარისი აღარაა.

კნ. ბეგთაბეგიშვილისას განუზრახავს მოაწყოს ქართველ ხელოვან-მწერალ-მხატვართა საღონი. წინასწარი კრებები უკვე გაიმართა.

სახალხო სახლში 23 აპრილს იმართება ელ. ჩერქეზიშვილის 30 წ. მოღვაწეობის საიუბილეო საღამო.

ქართ. დრამ. დასი 18 აპრ. სახალხო სახლში წარმოადგენს „მეფე ლირს“. ლირის როლს შეასრულებს ვ. გუნია.

რადგან იმ. გოგმართელი გასულ კვირას მოულოდნელად სოფელში წავიდა, მისი მორიგი წერილი მომავალ კვირის ნომერში დაიბეჭდება.

ქალაქის განაპირა უბნებში ავლაბარსა და ნაძალადევში სახალხო კონცერტების გამართავს მ. კაკაძის გუნდი. მონაწილეობას მიიღებენ 2 შეერთებული: 1) მ. კაკაძის ძველი და 2) მუშათა გუნდები. კონცერტები ამ თვის მიწურულს გაიმართება.

ხაშურში ელ. ჩერქეზიშვილის 30 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად 23 აპრ. წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“, ი. ზარდალიშვილის რეჟისორობა-მონაწილეობით.

ხაშურის მოწინავე ქართველობას განუზრახავს ამ მოკლე ხანში ხელის მოწერით ფული შეაგროვოს ხაშურის მომავალ სათეატრო ფონდისათვის.

ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“ მთელის წლით გაუწერეს: 1) ქართ. საქველმოქმედო საზოგადოებამ ყველა თავის სკოლას ქართველ მაჰმადიანთა შორის; 2) აბარელებს—ნიკ. გრ. ჯუმუხაძემ და ნიკ. სიხარულიძემ; 3) ნესტ. ზაქ. კიკნაძემ—ქვიშხეთის დ. ყიფიანის სახელობის სამკითხველოს.

„სკოლა და ოჯახი“; სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ყოველ კვირეული ჟურნალი, № 1 მიგიღეთ. ჟურნალი შინაარსისაგან არინ შედგენილი. ჩვენს ახალ თანამოძმეს ვუსურვებთ დღეგრძელობასა და წარმატებას ჩვენი სკოლის საკეთილდღეოდ. № ღირს 10 კ.

ახალგაზდა მეფრალი ნ. მიწიშვილი ფილტვების ანთებით ავად გახდა.

ი. გოძიაშვილის კონცერტი დ. კასრაძის ლექციითურთ („უხელო რაფაელნი“) გაიმართება დღეს, კვირას, 17 აპრ., სახალხო სახლში. დასაწყისი I-ელ საათზე.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ შესახებ:

გაგრა. ის. მგელაძეს. მივიღეთ 38 მან. გმადლობთ თანაგრძნობისა და ფულის სწრაფად გამოგზავნისათვის.

უცხო სიტყვათა ლექსიკონზე ხელის მოწერა მიიღება: 1) ეჩმიაძინში—ნიკო ჩიქოვანთან; 2) ლანჩხუთში—კოკი ებრაელიძესთან. (ხელის მოწერით—2 მ. 50 კ.—ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილობრივ, პირველად 1 მ.).

ს. ხაშმზე ეს. ლოლაძის თაოსნობით დაარსდა კოოპერატიული პურის საცხობი და მოკლე ხანში გაიხსნება კოოპერატიული მაღაზია.

ჩვენი პასუხი

ცარიცინი ილ. ყორ—შვილს 3 მ. მივიღეთ. იბეჭდება.

ვალ. გუნიას თხოვნით ვაცხადებთ, რომ ეკმი შტოკმანი იგი არ არის. „თეატრი და ცხოვ.“ № 14-ში მოთავსებული წერილი „უმადურნი“ მას არ ეკუთვნის.

აჭარლები

წერილები მეგობარათან

ქართველ მუსულმანების შესახებ.

ძვირფასო მეგობარო!

ვასრულებ შენს თხოვნას და დღეიდან ვიწყებ შენთან საუბარს ჩვენი თანამამძე ქართველ მუსულმანების შესახებ.

მეკითხები: ქართველი მუსულმანები თავის თავს მართლა თორგებს ეძახიანო?—

თუმცა ეს მართალია და ზოგიერთი ქრისტიანი ქართველიც შეცდომით მათ თათრებს ეძახის, მაგრამ ზოგიერთ ქართველ მუსულმანს ეს ძლიერა სწყინს, მით უმეტეს, რომ ოსმალები მათ თათრებს კი არ ეძახიან, არამედ გურჯებს, რაც ქართველებს ნიშნავს. მე მყავს ერთი ნაცნობი აქაური საშუალო სასწავლებლის მასწავლებელი, რომელმაც მითხრა: ერთი პატარა ქართველი მუსულმანი, სახელად სელმანი ჩემთან მოვიდა თვალცრემლიანი და შემომჩივლა: „ბატონო მასწავლებელო!—ჩემი ქართველი ამხანაგები თათარს მეძახიან. დაუშალეთ: ნუღარ დამიძახებენ თათარს; მე ხომ თათარი არ ვარ, 'მე ვარ ქართველი მხოლოდ მაჰმადის სჯულისა!"· მასწავლებელმა შესაფერი დარიგება მისცა სელმანის — ქრისტიან ქართველ ამხანაგებს, რომელთაც სიბავშვით მოსდიოდათ ასეთი შეცდომა თავისვე ამხანაგის მიმართ და ან კაკაკაკვით იმეორებდენ დიდის ნათქვამს. ეს სელმანი დღეს უფროს კლასში ყოფილა. ქართული ენა კარგად იცის თურმე, ასე რომ „ვეფხის ტყაოსანის" გარჩევაც კი არ უჭირს. მისი მოზრდილი ქართველი ამხანაგები მას, სჯულით მაჰმადიანს, დანარჩენ ქართველთაგან არაფერით არჩევენ: ჭირსაც ერთად იყოფენ და ლხინსაც.

რა ვქნათ, მეგობარო! გაუნათლებლობა, შეუგნებლობა, უვიცობა ბევრს შემცდარ ნაბიჯს გადაადგმევინებს ადამიანს... მაგრამ ცოდნის შუქი გაანათებს ადამიანის მთელ ბუნებას და საღ შეგნებას შეიტანს მის უმთავრეს ორგანოს—ტვინში. შეგნება კი ძირითად სცვლის ადამიანის შეხედულებას, მის აზროვნობას, მთელ მის ბუნებას... სელმანის ამხანაგ ქართველ ქრისტიანებსაც სწორედ ამ შეგნებამ აუხილა თვალები და დაარწმუნა, რომ სჯულით მუსულმანი ქართველი იგივე ქართველია და არა თათარი.

აწ მშვიდობით! ვეცდები ერთი კვირის შემდეგ კიდევ გამოგელაპარაკო. სათმელი აუარებელი მაქვს.

შენი მეგობარი **ი. თეზბიტელი**

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა